კომერციული ბანკი სს „ლიბერთი ბანკი“-სთვის (ს/კ 203828304) დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/კ 203828304, ლიცენზიის ნომერი №0110247) „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 3[4] პუნქტის შესაბამისად, 1,000 (ერთი ათასი) ლარით დააჯარიმა.

კომერციული ბანკი დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა).